პროექტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ საქართველოს კანონის“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“

მუხლი 1.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 28 მაისის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.06.2015, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.05.001.017771).

მუხლი 2.

1. 2026 წლის 1 იანვარს გაუქმდეს ბიზნესომბუდსმენისა და მისი მოადგილეების თანამდებობები და ლიკვიდირებულ იქნეს ბიზნესომბუსდმენის აპარატი. ამ მომენტში შეწყდეს ბიზნესომბუდსმენის და მისი მოადგილეების უფლებამოსილებები, აგრეთვე ბიზნესომბუდსმენის აპარატის ყველა თანამდებობის პირისა და თანამშრომლის უფლებამოსილება და შრომითი ურთიერთობა, აგრეთვე ბიზნესომბუდსმენის აპარატში სტაჟირების გავლასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი ურთიერთობა (ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში).

2. ბიზნესომბუდსმენის ყველა იმ ყოფილ თანამდებობის პირსა და თანამშრომელს (გარდა ყოფილი ბიზნესომბუდსმენისა), რომელსაც 2026 წლის 1 იანვრას შეუწყდა უფლებამოსილება (შრომითი ურთიერთობა), 2026 წლის 1 იანვრიდან 1 თვის განმავლობაში მიეცეს ერთჯერადი კომპენსაცია. ამ კომპენსაციის ოდენობაა შესაბამისი პირისთვის ბოლოს განსაზღვრული შრომის ანაზღაურების სამმაგი ოდენობა.

3. 2025 წლის 31 დეკემბერს თანამდებობაზე მყოფი ბიზნესომბუდსმენი 2026 წლის 1 იანვრიდან მიღებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლად და შეასრულოს ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილება.

2026 წლის 1 იანვრიდან თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ ბიზნესომბუდსმენი და მისი მოადგილეები და მიეცეთ კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 2026 წლის 1 იანვრიდან ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი. ლიკვიდაციის შედეგად საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატიდან გათავისუფლებულ თანამშრომლებს მიეცეთ კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

5. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის ბალანსზე რიცხული ქონების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და აპარატის კუთვნილი დოკუმენტაციის 2026 წლის 1 იანვრიდან განკარგვისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების წესს ადგენს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**